

სოფელ დღე მკათათვეს გარდა

ფრომეტი

ცალკე სომხური ღირს შაუხათი

კედამცია: სოფლოლაქვე, სერ-გივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა კედამცინის: სერ-გივეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მომწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дროга“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე

ფასი განცხადებამს: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცოცხროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

კედამციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 28 ივნისს. მსმალეთის მმართველობამ მოსთხოვა სომხების კონსტანტინოპოლელ პატრიარქს ნერსესს, რომ გამოიხმოს ბერლინიდამ სომხის დელეგატები. ეს მოთხოვნა იღებდა ხონტქრისა სომხებმა აერო-მჭენდემ გადასცა პატრიარქს. პატრიარქმა მოისმინა ხონტქრის ბრძანება და შემდეგ ამ სიტყვებით უპასუხა იმისაგან გამოგზავნილ კაცს:

„— ბარდავციო ჩემ მაგდერ მალაღს პორტას, (ე. ი. მსმალეთის მმართველობას), რომ იმას შეუძლიან განკარგულენა მოახდინოს, რომ მე ჩამომალწონ და იმის მოთხოვნების შესრულებას კი ნუ მოვილის ჩემგან. ამ ორმოც-და-ჩვიდმეტის წლის წინეთ ბერძნის პატრიარქს ბრიგორის ეკლესიაში, წიგნის დროს, სტაცეს ხელი და ისე, როგორც იყო, სრულს სამოსელში ჩამოაღრჩეს თავის ეკლესიის კარებთან. მეც იმის მაგალითს წავბაძე: ჩაიცვამ სამოსელს, წვალ ეკლესიაში, ჯალათებს მივცემ ჩემ თავს და იმას კი არ

ვიქ, რომ ჩემს მრევლს უღალატო.“
როდესაც ეს ამაყი პასუხი პატრიარქისა გაიგო რუსის ელჩმა ლობანოვ-როსტოვესკიმ, ამან წამოიძახა. — „მკ, ისივერ გაბედავენ იმის ხელის ხლებას!“

ლონდონი, 28 ივნისს. შევლა ლიბერალურ საზოგადოებათა კრებამ გამოაცხადა ეპისტოლე, რომლითაც ისინი მოიწვევენ ინგლისის ხალხს, რათა უკმაყოფილება გამოაცხადოს ძაბრის კუნძულის ინგლისთან შეერთებაზე და ინგლისსა და მსმალეთს შუასაიდუმლოდ კავშირის შეკვრაზედ.

სტამბოლი, 27 ივნისს. ბასულის შაბათის რჩევაზედ სტამბოლის უღემებმა (ნაწაფელ მოლლებმა) წინადადება მისცეს ხალხს, რომ მაჰმადია (მოლიქულის) დროშა გამოჰფინონ.

მიტილინის კუნძულზე არეულობა მოხდა.

ბერლინი, 28 ივნისს. სასამართლომ გაარჩია დღეს ბედელის საქმე. ბედელმა სთქვა, რომ მე, იმპერატორს მიღჰქელმის კი არა, ჩემი თავის მოკვლა მინდოდა. მკ-და-ათმა მოწამემ უჩვენა, ჩვენ ენახეთო, რომ ბედელმა იმპერატორს უშიზ-

ნა თოფიო. სასამართლომ ბედელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

მოლაპარაკება იყო, რომ ავსტრიისა და მსმალეთის მთავრობამ ორთავემ ერთად ჩააყენონ თავიანთი ჯარები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში; მაგრამ ძონგრესსი ამ ჰაზრის თანახმა არ არის.

ბერლინი, 28 ივნისს. ინგლისსა და მსმალეთს შუა შეკრულს პირობაზე დღეს ძონგრესში მოლაპარაკება აოყოფილა. ძონგრესსმა დაამტკიცა კომისიის ჰაზრი ბათუმის სამზღვრების თაობაზედ.

ძონგრესმა თითქმის სულ შეასრულა თავის მოვალეობა. ძონგრესს წარუდგინეს იმისაგან დადგენილის პირობების პროექტი, რომლისაც მომეტებული ნაწილი სხდომაზედ იყო წაკითხული და დამტკიცებული. ხვალ კიდევ ამავე პირობის კითხვას განაგრძობენ. ლორდ ბიკონსფილდს ყელი ეტკინა და ამიტომ ძონგრესსის უქანასკნელს სხდომაზე არ დასწრებია.

ბერლინი, 27 ივნისს. ბუშან, ორშაბათს, ინგლისისა და რუსეთის დანდობილ პირებს დიდხანს ჰქონდათ ერთმა-

ფელტონი

გზავრის უანიშნავი

(დასასრული *)

— შენა ხარ, ბიძია, ქურდი? მაი შე უბედურო, რაეა გავწყობია ღმერთი! არა, არა, ჩემო ბიძია, პირჯვარი დეიწერე, ღმერთი ახსენე, ეშმაკს მიაფურთხე და გატყდი, გამიწყრა ღმერთი-თქვა და თქვენ იცით და თქვენმა ღმერთმა-თქვა, თვარა წახთა შენი საქმე! ძი, შე-ნუ მომიკედებდი, ასთე გირჩენია, თუ დეიჯერებ ჩემსასო! მუბნება ერთი მოხუცებულის კაცი.

— ბატონო, არ მიქნია მე და რაც გინდოდეთ, ის მიქენით! ააჰა!

— ძე! ბაჩუბდი, შე დედა. — თქვა! ნუ ჰამ შენი ყველაყისა!

— იმე, რას უნოვ, ბატონო!

— ბატონო, არაკათ მოგახსენებენ და არაკი კი არა, მართალი უნდა იყვეს, — დაიწყო ერთმა: რომ ერთხელ ერთ „ღენერალ-პომპოლიკს“ პენსია“ გამოუვიდა. რასაკვირველია, ბატონო, ცოტა რამე არ იქნებოდა, რამოდენიმე ათასი მანათი ჰყოფილა. ამ კაცს ჩაუწყვია ფულები ჩამადანში და შესულა მალაზიაში საეპროთ. ჩამადანი დუქნის წინ ყაფაზე დაუდგია და ეს ჩაწოდე, ის ჩამოიღეო, ეუნებოდა. შევლა იქ მყოფი უბნერს კუპეცს საქონლის ჩამოღებაზედ. ამ დროს შემოვიდა ერთი სალდათი, მოიპარავს ჩამოდანს და გაიქცევა შეუნიშნავად. ღენერალ პომპოლიკი მიაწობს თავისთვის ყველაფერს და უნდა მასცეს ფული. მაგრამ სად არის ფული! დააყენებს კარებზედ ყარაულებს, მოძებნის დუქანში, გაჩხრეკს ყველა იქ მყოფს, მარა აა! მთელი ადამიანი ხალხი გამრება.

— თუ გაქ, თქვენ გაქ, სხვას ვის ექნება, აქ არავინ ჰყოფილა“. ამბობს ღენერალ-პომპოლიკი.

— ამ დროს, როცა იქ დასწრებმა უნდა გამოიღონ ფულები და მისცენ ღენერალს, შემოვი ერთი დამოძილი ტანისამოსიანი კაცი.

— რა გიწუხებსო, ბატონებო, ფულისთვის ხომ არ სწუხართო? იტყვის.

— ძი, სწორეთ ფულისთვის ვსწუხვართო, ტყვიან.

— მერე მავაზიდ როგორ ვსწუხდით, აი თქვენი ფული, მე წაიღეო. ხალხმა დაალო პირი და შესტქერია ამ კაცს.

— როგორ გაბედენ რა ნაჩრათწოდეთ? ჰკითხა ფულის პატრონმა გაჯავრებით.

— აა, ბატონო, ასთე წვეილე: თქვენ ყველა ზევით იყურებოდით, საქონელს რო იღებდა, კუპეცი; ეს ჩემოდანი ასთე იღეა ყაფაზე (დადებს საცა იღეა). მე მოველ, დაეაფე ხელი და ასთე გაძვერი კარებმის... მია სთქვა და ფულიანათ თვალის დახამხამებაში გაჰქრა სადლატ...
— არიქ, წვეიდა ყაზილარი, აი აქეთ,

*) „ღროება“, № 128.

ნეთში ზოლპარაკება. ბათუმის თაობაზედ ლაპარაკობდნენ ამბობენ, რომ ბათუმი სრულიად დარჩება რუსეთსაო, რომელიც ვალდებული არ იქნება, რომ ამ ნავსადგურის ციხეები დაანგრიოს.

პარიზი, 27 ივნისს. მთქმის ყველა აქურა გაზეთებში გუშინ დაბეჭდილი იყო სტატიები ინგლისსა და მსმალეთს შუა შეკრულის პირობის თაობაზედ: „*Moniteur Universel*“ ამბობენ, რომ ბიზრის კუნძული მშვენიერი პოზიცია არის მევიტისა და მცირე აზიის დასაცველათაო; მაგრამ ამ კუნძულის დაჭერა ინგლისს ძვირად დაუჯდებაო, რადგან ინგლისი ვალდებული გახდარაო, რომ, მაგრად. მსმალეთი დაიკვასო, ზაზ. „*Constitutionnel*“ ეს ჰაზრით, ბიზრის შემდეგ ინგლისი მევიტესაც დაისაკუთრებს. „*Liberté*“ ამბობს, რომ ინგლისისაგან ბიზრის დაჭერა არ აღძრავს შურს არც ერთს იმ სახელმწიფოში, რომელნიც ხმელთა-შუა ზღვის ნაპირზედ მდებარებენო. „*Presse*“-ი თანახმაა, რომ ინგლისს ერგებოდა ბიზრი მსმალეთის დანაშარებისათვისო; რუსეთს ამითი არა დააკლდება-რაო. გაზეთები „*Temps*“ და „*Journal des debats*“ არაფერს არ ამბობენ ინგლისს და მსმალეთს შუა შეკრულს პირობაზედ.

ბერლინი, 27 თბათვეს. საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენელნი გაკვირვებული არიან ინგლისსა და მსმალეთს შუა შეკრულის პირობით, რომლითაც უკანასკნელი უთმობს პირველს ბიზრის კუნძულს. ამბობენ, ეს პირობა იმიტომ არის გამოცხადებულიო, რომ ინგლისის საზოგადოება დააკმაყოფილოსო.

აი იქით ეცნენ, მარა, თქვენც არ მომიკვდეთ, ასეულ-დასავალიც ვერ გეიგეს! ძველი ტანისამოსი გეიხადა, ახალი ჩაცვა და გაერია სალდათებში... ბი, ბატონო, აქედამ დაიწყეს და ჩვენ შიაც გამრავლდა ქურდობა...

საზოგადოებრივ ქურდობა ძალიან გახშირებულია აქეთკენ, განსაკუთრებით ბირუტყეებისა შავ-იპერეთში. თუ სოლოფელს გაცილდა ცხენი, ან ხარი, შენათ წულარ გეგულებო. მიზეზს „*ვოენობას*“ სდებენ: ფორაჩიკებმა ცხენები და საკლავები სულ გააწყალეს, სასყიდელს ედარ შოულობენ, გამოდიან ქურდები, იპარავენ და ჰყიდიან ფორაჩიკებშიო.

— ამისთანა ქურდობა კიდევ რა არის, ბატონო! რა ვერ მოიპარავენ, თვისთვისაც გააფუჭებენ და პატრონისთვისაც. მანცხამ რიონის ტოტში ბატონ ლეს ბარე ვორასი თებში მოუწამლა და ისე დაუხოცა. მაგრამ ეს კი ახი იყო იმაზედ. ბატონო, ატყუეილებდა გლეხ-კაცებს, ოღონდ დამაქრინეთ და

პატიმარების ბირჟა, 28 ივნისს.
(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)
ბანკის ბილეთები:
პირველი გამოცემის — 96—84
მეორე — — — — 95—25
მესამე — — — — 96 — ”
მეოთხე — — — — 96 — ”
პლმოსავლეთის — — — — 95 — ”
მქრო, 1/2 იმპერიალი — 7—73
თფილ. თავდა-აზნ. ბანკის

გირაოს ფურცელი — — — — ” — ”
შინაგანი 5%, სესხის ბილეთები:
— — — — — მან. ძაპ.
პირველი სესხის — — — — 247—50
მეორე სესხის — — — — 244—50
1 მანეთი ლირს:
ლონდონი — 24—75 პენსი
ამსტერდამი — 123 — ” ცენტი
ჰამბურგი — — 218—50 ჰფენიგი
პარიზი — — 269 — ” სანტიმი

საქართველო ლიურბი

* * * თფილისის კლასიკური ბიზნაზის მთავრობა აცხადებს, რომ ვისაც ამ ბიზნაზიაში შესვლა ჰქურს, ამ ივლისის პირველიდამ ვიდრე აგვისტოს 25-მდინ შეუძლიან თხოვნის მიცემაო მუდამ დღე დღის 10 საათიდან 2 საათამდინ. მგზამენები კი 26 აგვისტოს დაიწყება და 1 ენკენისთვის გათავდებაო.

* * * მთავრობა თფილისის წმ. ნინო საქალეზო სასწავლებლისა აცხადებს, რომ ამ სასწავლებელში წელს კენჭის-ყრა სახელმწიფო ხარჯით მიღებისათვის არ იქნებაო, რადგან მეშვიდე კლასის ქალე-

თქვენც გასარგებლებთო; ამუშავებდა და ბოლოს თავის აუზში კი გადაყავდა თევზები. სულ ერთიაო, ეუბნებოდა გლეხებს, როცა სტუმრისთვის, ან თქვენთვის მოგინდებთ, მომთხოვეთ და ჩემი აუზიდან მოგცემთო. ასე გვატყუილა კარგა ხანი და ბოლოს ერთმა ვილაც კურთხეულმა დაუხოცა თავის აუზში წასაყვანი თევზები. ისეთი პატიოსანი კაცია ეს ბატონი, რომ დახოცილი თევზებიც გადაყარა, როცა დალპა და გლეხებს — მუშებს კი არ მისცა. მითონ კი უნდოდა, ღვთის წინაშე, მიეცა, მაგრამ შინ ისეთი მბრძანებელი სტუმარი გამოუჩნდა, რომ იმან დასძალა და აღარ მიაცვინა...

რიონის პირზედ ედგევარ და მუშები-საგან ხიდის კეთებას უყურებ. ამ დროს გამოივლის ნაფი და მივა ნაფების ხიდთან, მარპირში, რომ ვამერეს შიგ. მარი სალდათი გამოიქცევა და დააყენებინებს ნაფს. აქ მენაფეებსა

ბი თფილისის საქალეზო ბიზნაზიაში გადავიდნენ და სანამ ისინი არ შორიგბიან სწავლას, (ე. ი. 1879 წლის მაისამდინ), მანამ ვაკანსია არ იქნება გახსნილიო.

* * * თფილისის გუბერნიის თავდა-ზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლები (ზაკლადნი ლისტები) ამ თვის 27-ს 88 მანეთად და 25 კაპეიკად გაყიდულა პეტერბურლის ბირჟაზე.

* * * ზორიდან გეწერენ, რომ „მუდამ მთვარისა და მთვარის თავს გეწვივიან ხოლმე ქურდებიო“. ამ ახალ მთვარეზე, სხვათა შორის, ერთი საწყალი ხარაზისათვის დუქანი გაუტეხიათ და ექვსი თუმნის შეკერილი წაღები და მასალა ტყავები წაუღიათ. ძურღი მეორე დღევე დაუჭირავს იქაურ პრისტავს მოპარულის ნივთებით.

* * * სიღნილიდამ გეწერენ, რომ გასული ივნისის 25-ს გამოუსტუმრებიათ ამ ქალაქიდან მთელს მახრაში მოკრებილი მილიციონერები. საბრალო სანახავი იყენენო ზოგიერთი მილიციონერების მოხუცებული დედები და ახალგაზდა ცოლები, რომელნიც ტირილითა და ვაებით ეთხოვებოდნენ თავიანთ შეილებსა და ქმრებსაო.

მაგრამ მეორე მხრით თვითონ მილიციონერების დანახვა კი გულს გაუშხიარულებდა კაცსაო: მომეკებულები ნაწილი სულ დარჩეული ვაჟაკები, მხნე და მარჯვე ბიჭები იყენენო; განსაკუთრებით მელის-ციხელებმა მიიქცავეს საზოგადო ყურადღებაო.

და სალდათებს შუა გაიმართება რალაც მოლაპარაკება, რომელიც დაბოლოვდება იმითი, რომ სალდათი მენაფეს ფულს გამოართმევს და უკანასკნელს მიეცემა ნება ნაფი გაატაროს ხიდ ქვეშ.

მე მინდოდა გამეგო მიზნი, თუ რათ გადახდა მენაფეს ჯარიმა და ეკითხე ერთ გლეხს, რომელიც იდგა იქვე მანლობლად. იპან ამისნა, რომ მიზეზი თითონაც არ იცის, რომ რაც ხიდი ვაკეთდა, მას აქეთ ნაფებს გზა შეუტყრეს ხიდის ყარაულმა სალდათებმა და სანამ ორ-სამ მანეთს არ დაანახებენ ფულს, ნებას არ აძლევენ ნაფი ღვთის მოკემულ წყალში გაატარონ, თუკაც კი ამითი ხილს არაფერი ზიანი არ შეიძლება მიეცეს.

— არ იცის აქაურთა უფროსმა, რომ ეს ტყუილი ხარჯი ესე ჩუმათ შემოპარვია ორპირელებს? გეითხე გლეხს.
— როგორ არ იცის, ბატონო, მაგრამ ვინ აქცევს ყურადღებას? მინ ჰხედავს ვაჭირებას? თუ გადახდევინება მთავრობის განკარგულებით იყვეს, ხიდზედ რომ

„დროის“ კორესპონდენცია

მათიანი, 24 ივნისს. როგორც სხვა ადგილებში, ჩვენშიაც მოვიდა მილიციის მოკრების ამბავი.

აქაური მცხოვრებნი, განსაკუთრებით სომხები, ამბობენ, რომ ჩვენი შეილები ვერ გაძლებენ, ნაზათ გაზდილი გვეყვანონ!

ნამდვილათ ვიცი, რომ ამ ერთს კვირის განმავლობაში უკანასკნელმა ორმოცმა მეტმა აიღო მეორე გილდის მოწმობა იმ განზრახვით, რომ პალატა დაგამტკიცებლოს, და ესენი ყველა ძალაქს წამოვიდნენ, რადგან გაუგონიანთ, რომ ვისაც ძაზიონი პალატაში დაამტკიცებენ, ისინი მილიციონერთა აღარ გაჰყავთ.

აქაურს ურიებს აქამდის იმედი ქონდათ, არ გაგვიყვანებდნენ, რადგან გავგონათ, რომ ურიები არ გაყავთ; მაგრამ ეხლა დარწმუნდნენ, რომ უნდა გაიყვანონ და დიდის ფაცა-ფუციტ დიდს ფულს აგროვებენ, ვითომც სამაგიეროს მიეცემთ, როგორც შარშან იყო, მაგრამ, როგორც ისმის, სამაგიეროს გაგზავნა აღარ შეიძლება: ვისაც შეხედება, ის უნდა წავიდეს.

ეს ერთი კვირა იქნება, რაც საჩხერი-დგან ჩამოიყვანეს დაჭრილი ათი ურია იმ საქმის თაობაზე, რომ ვითომც ბავში ეწვალდებინათ. საწყლებმა ამათ პატრონებმა ბევრი ეხვეწნენ პროკუროვს, თავდებ ქვეშ დაგვანებეთ, მაგრამ არ ინება. შეზღის დოქტორს დაუმოწმებია, რომ ის ქალი წყალში დამღრჩვალი არისო, მაგრამ როდესაც მუთაისის უფროსი დოქტორი წასულა და უნახამს, ნამდვილად უთქვამს, რომ ნაწვალბებიაო. ასე ამბობენ.

ამბობენ, ეს საქმე სამხედრო სასამართლოში გადადისო, რადგან მძიმე საქმე

არისო და ვინ იცის საწყლებს როგორ წაუყვანთ საქმე. ღღეს უკანასკნელ ორმოც-და-ათზე მეტი არიან აქ საჩხერელი ურიები ამ საქმის თაობაზედ...

მუთათური

ოქმის აზვები

კონგრესი

ბათუმის თაობაზე გარდაწყვეტილი ამბავი ჯერ ვერა შევიტყუეთ-რა; ბერლინიდამ მოსულ ტელეგრამებმა სულ დაგვიბნინეს გზა და კვალი: ჯერ მოვიდა ამბავი, რომ იგლისი არამცა-და-არამც არ დათანხმდებოა, რომ ბათუმი რუსეთს დაუთმოს; მერე გვაცნობეს, რომ რუსეთს მისცეს ბათუმიო, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ნაესადგური პორტო-ფრანკოდ გადაკეთდეს და რუსეთს არა ჰქონდეს უფლებათ, რომ ამ ქალაქში სიმაგრეები და ციხეები ააგოს; დღევანდელს ნომერში მკითხველი წაიკითხავს ბერლინიდამვე მოსულს ამბავს, რომ ბათუმი სრულს საკუთრებად დარჩა რუსეთსაო.

რომელს ერთს დაუჯეროთ!

ნამდვილი, მგონია, ეს არის: ბათუმი ჩვენ დაგვრჩება; მაგრამ რა პირობით და რა სამზღვრებში—ამას შემდეგში შევიტყუბთ.

პეტერბურდის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 22 ივნისს ბერლინიდამ მიღებული:

„მაკედონია, თესალია და მპირია დასავლეთ რუმელიას შეადგენენ.

„რუსეთი ჰქისრულობს ერთს ნაწილს რუმინის სახელმწიფო ვალიასა. ლორდ ბაკონსწილდი ცდილობს, რომ ბათუმი არც რუსეთის საკუთრება შეიქნეს და არც

ოსმალეთს ეკუთვნოდეს; იმას უნდა ბათუმიდამ თავისუფალი ნაესადგური შეიქნეს და ინგლისის მფარველობის ქვეშ იქმნეს.

ინგლის

„ზა. „Indep. Belge“-ის კორესპონტი იწერება, ბიკონსწილდი იმ პირობით დათანხმდა, რომ მცირე ძაზაში რამე დაეთმოს რუსეთს, თუ პირობას დასდებსო, რომ შემდეგში იქითკენ არაფრის შეძენას აღარ მოინდომებსო.

ამავე გაზეთის უკანასკნელს ნომერში მოყვანილია შემდეგი დეპეშა 22 ივნისიდან:

„ღღეს კონგრესს მცირე ძაზის საქმეებზედა აქვს სჯა. შმთავრესი ყურადღება ბათუმზედ არის მიქცეული.

„რაიცა შეეხება კონტრიბუციას, მონგრესის მომეტებული ნაწილის ჰაზრის არის, რომ ეს საქმე მონგრესს არ შეეხება, რუსეთი და ოსმალეთი უნდა მოთავსდნენ ერთმანეთშიო. მონგრესსი გადაწყვეტს მხოლოდ იმას, რომ რუსეთს არა აქვს უფლებათ, რომ კონტრიბუციის ფულის მაგიერ რომელიმე ქალაქი ან საზოგადოთ მიწები მოსთხოვოს ოსმალეთსა.“

კონგრესის გარდაწყვეტილებით, მდ. ღღნაი ძომორნიდამ დაწყებული ზღვის ჩასართავამდინ „ნეიტრალურ“ მდინარედ არის აღვიარებული, ე. ი. ამ სიერცხვე ყველა სახელმწიფოებს შეუძლიანთ მხოლოთ პატარა ხომალდები (არა სამხედრო) იქონიონ, არავის არ ექნება უფლებათ, რომ ნაპირებზე ციხეები და სიმაგრეები გააკეთონ და რაც ამჟამად იქ ციხე-სიმაგრეებია, ყველა უნდა დაანგრიონ.“

გავდივ-გამოვდივართ და დაგყავს ურები, ცხენი და ყოველივე საჭიროება, იქ უფრო არ უნდა იყვეს, რომ ხილი ცვდება, ფიცრები იმტრევა, ზოგჯერ ხავები ტყდება და ხშირად გაკეთება უნდება? მაგრამ ეს სალდათების გამოგონილი განკარგულება უფრო იქნება და ფულბიცი იმათი კუჭის დასაკმაყოფილებლად უნდა მიდევოდეს. ხალხს უნდოდა ჩივილი ლუბერნატორთან, მაგრამ, ხო მოგვხსენებათ, ამას თავება უნდა, მისელამოსვლა, ლაპარაკი და ჩვენისთანა საწყალი გლეხ-კაცობა, საუბელუროთ, ყველა ამას მოკლებულნი ვართ.

მა მრპირი.

ახლა სოფლებშიაც გავიაროთ.

მოსავლის კარგი იმედი აქვთ, თუ ბოლომდი ეს კარგი ამინდები დაუდგა. მენახებს კარგა ასხია, თუ მოუცილებელი ჭარი—ნაკარი არ გამოაჩნდა. ამ თვის 10—13 და 16—18 კარგი ღონიერი წვიმები და გრილი დღეები იყო.

აეთმოფობა ეწვია ზოგერთ სოფლებს: მაკე-იპერეთში „ყვავილი და კისერ-ბატონები“ დაბრძანდებიან. ძლივს ყვავილს იხდის თურმე კაცი, ყელი ასტიყდება და სხვა რა არა იყვეს რა, უჭელობით მისუსტებული კვდება.

მართი საზიზლარი ამბავი კიდევ: ჩარჩები—ურიები მოდებული არიან სოფელზედ; დედა-კაცები ფუთკარიგით ეხვევან სავაჭროთ. ჩარჩები შეეჩევა იმათ, გაიცნა სოფლებები და ხშირად თითო ორ ორ კვირობით და თვეობით რჩებიან სოფელში.

ხალხი შეეჩევა იმათ და უშიზრად დამე შინ აყენებენ ხოლმე. ზოგჯერ კაცები შინ არ არიან ხოლმე და ურიები მარტო დედა-კაცებში რჩებიან. ურიები და ქალები უშეგობრდებიან ერთმანეთს და გამართულია გაცვლა-გამოცვლა „ფართლიასა“ ერთმანერთში. წარსულ კვირაში ერთი ურია—მლო სუროსა-ეზუნახავს ერთ იმერლის ქალთან მს. მლო ლამაზათ დაზილეს კეტებითა და მუშტით. მს არ დააჯერეს; ნა-

ხეარი ცალი სავაჭროც წართვეს და ისე გაადგეს. მაგრამ მლოს თავისი არ დაუშლია: შულამეხედ მეორე ოჯახში დაუკაუნებია იმ ოთახის კარები, რომელშიაც ქალი იწვა.

- შინა ხარ? ჰკითხავს ქალის ხმა.
- მე ვარ, მლო, კარი გამიღე.
- რა გინდა?
- საქმე მაქვს, შენი ჰირიმე, გამიღე. ბაულებენ კარებს და აქაც ლაზათიანათ დაამბილებენ, წინანდებულად დასჯიან სავაჭროს წართმევით და გამოისტუმრებენ. ამავე მლოს ერთ ალაგას დამე გაუთვეია და დოქი ცხელი ნაკადულით აუფსია. მს სახლის პატრონს გაუკია და მეორე დილაზედ პირის დაბანას უბირებდა. მლო უარზედ იდგა, მაგრამ ხელ-პირის დაბანა ვინ დააჯერა, ერთი სტაქანი ჩაითაც მიერთმიათ:

თეოდ. ძანდელია

18 ივნისს.

განცხადებანი

ჭუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიო-ტექნიკური ინსტიტუტი

- 1) დედა მან, ი. ზოგადი შვილისა, ფასი 45
- 2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ზრ. რჩეულობისა ფასი 20კ.
- 3) ცოლი ვიტიჩო, თუ ფული? პოეზია ალ. თუთაიასა, ფასი 30 კაბ.
- 4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაბ.
- 5) ვეფხუ ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაბ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ამ თვის 15-ს ბაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ ლუქნებში, № 2.

ზარეუე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Вь Тифлисъ. Вь книжный магазинъ Григорія Чарквіани, вь зданіи Кашветской церкви, № 2.

ახალი კვერძე

პავლილივილს, (ჭუთაისში, ქლისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კვერძის გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცნობებს ქალაქის მცხოვრებლებს, რომ ქალაქის რჩევის გადაწყვეტილების თანახმად, **გარდასდებიან** იმ 1875 წლის მემორე ნახევრის დასაფასებელი ხარჯისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ზოგიერთებისაგან შემოტანილი, მინდობილი აქვს ლუბერსკი სეკრეტარს ალექსანდრე მიხეილის ძეს ჯაბაროვს; ამის გამო გამგეობა სთხოვს იმ სახლის პატრონებს, რომელთაც სწენებული ხარჯი არა აქვთ ჯერ შეტანილი ქალაქის ხაზინაში, წარუდგინონ ის ფული უფ. ჯაბაროვს, რომლისგანაც ფულის შეტანაში დაბეჭდილს კვიტანციას მიიღებენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ვინც თავის დროზე ფულს არ წარუდგენს, იმათ წინააღმდეგ უფალს ჯაბაროვს შეუძლიან იხმაროს ის ძალა-დასატანებელი ზომები, რომლის უფლებასაც აძლევს მას საქალაქო წესდების 131 მუხლი; ამას გარდა ქალაქის გამგეობამ სთხოვა უფ. თფილისის მთავარ-პოლიციმესტერს, რომ ამ საქმეში ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოს უფ. ჯაბაროვს.

სია იმ მამულებისა (სახლებისა), რომელთაც გარდაუხდელი ხარჯი (ნედლიმკა) ადევთ, აგრეთვე რაოდენობა ამ ხარჯისა და ჯარიმისა გარდაცემული აქვს უფ. ჯაბაროვს, რომელიც მიიღებს იმასთან წარდგენილ ფულს თავის კაბინეტში, ქალაქის გამგეობის სადგომში ყოველ დღე დილის 9 საათიდან ვიდრე შუადღემდე. თუ ჯაბაროვი არ იქნება, მაშინ ფულის წარდგენა ქალაქის გამგეობის კასსაში შეიძლება. (3—3)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

„მზორზე“

(1 ივლისიდან 1878 წლის 31 დეკემბრამდე) მიიღება „მზორის“ კანტორაში (ზალოვინის პროსპექტზე, სახლის № 7); გაგზივნითა და მიტანით ფასი 8 მანეთი. ქალაქი გარეუე მცხოვრებლებმა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: Вь Тифлисъ, вь редакцію газеты „Мзоръ“. ვისაც ჰსურს ხელის-მოწერის კვიტანცია მიიღოს, 5 კაპეიკიანი ღერბის მარკა უნდა გამოგზავნოს.

სხვა ვადებზე ხელის-მოწერის პ-რობა ისევე ძველი დარჩება: ერთის წლით—15 მან., სამი თვით—4 მან. და 25 კაბ. და ერთის თვით—1 მან. და 50 კაბ. მსურველს შეუძლიან მთელის წლით მოაწერონ გაზეთზე ხელი და ფული კი ყოველი სამი თვისა წინათვე წარმოადგინოს. (3—3)

ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“
ერთ-მოქმედებიანი ვოდევლი
იწყიდება: თფილისში — მართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ჭუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ქირი

ზასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს ჭუთაისში, ნიკოლაევის ქუჩაზე, საცა პ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია სახლის № 44.

რძ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	გაზანდა	მან კაპ	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 27 ივნისს.		მრეწვის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	- 68 -	38	ჭუთაისს, შოთს	1	შქვ. თუა. ბანჯისა, ფთ.	140	ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
ზორი	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	ჭერი ფუთი	120	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურგს, მარშავას	2	ბამბა მრეწვისა, ფუთი	7 50	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
სურამი	1 44		4 42	2 46	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი	8 50	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
ქვირილა	5 49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაჰენტილი ბამბა ფუთი	10	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
რიონი	6 57		6 75	3 75	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფთ.	8 50	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
სამტრედი	7 51		7 73	4 29	ფრანცია		— თარაქაშისა, ფთ.	5 50	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
ახ. სენაკი	8 43		8 57	4 76			აბრეშუბი ნუხური სტ.	2	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
ფოთი	9 50		9 75	5 42			ძონი, ფუთი	6	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
შოთი	9 83				ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ძონის ხანთელი ფუთი	8	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
ახ. სენაკი	10 14		1 18	- 66	მ. შურ. — პარასკ. და ორშ. პახეთს — სამშ. და შაბ.		სტეარინის სანთელი, ფ.	12 70	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
სამტრედი	11 5		2 61	14	ბ) ჭუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შურგეთს — ორშ. და პარასკ.		ხორცი ძროხისა, ლიტ.	99	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
რიონი	12 13		3 41	69			— ცხვრისა, ლიტრა	99	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
ქვირილა	1 18	ლაშე	3 98	2 21			სპირტი, ვედრო	5 20	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96			შაქარი, ბროც. ფუთი	7 60	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			— ფხენილი ფუთი	6 40	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
ზორი	7 5	4 8	3 64	9			შავა გრგვალი, გირვ.	70	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
მცხეთა	8 50	6 59	8 5	4			ზეთი ჭუნჯუთისა ფუთი	13	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			თამბაქო, საშუალო ფუთი	8 50	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიურჩიანცი — ხორბტი, ბარალევიჩი — შინაგ. ავთმყოფ.